

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს სხდომის

ო ქ მ ი №4

ქ. თელავი

2016წლის 17 მაისი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე

ნ. ჯანდიერი

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნ. ხვისტანი, პ. გიორგობიანი, ნ. ცაძიკიძე, ნ. მაისურაძე, ზ. პარწიკანაშვილი, ს. ჩახუტაშვილი, ზ. ლილუაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ს. მეგუთნიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონის ოთარი ესიტაშვილისათვის წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ.

ზ. ლილუაშვილი

მოისმინეს: 1. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონის ოთარი ესიტაშვილისათვის წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ.

ზ. ლილუაშვილი


ზ. ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ სოფ. ბუშეტის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ - ოთარ ესიტაშვილმა ჭიდაობა „კარატეში“ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა იუნიორთა შორის. ეს მიღწევა მან თავდაუზოგავი ვარჯიშით და მონდომებით მოიპოვა და მთელი მუნიციპალიტეტი ასახელა. ოთარ ესიტაშვილს ვარჯიში უხდება ქ. თელავში და სოფლიდან საკუთარი ხარჯებით უწევს სიარული. ზ. ლილუაშვილმა წინადადება შემოიტანა, ფრაქციამ აღძრას

შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე, რათა მას წახალისების მიზნით გაეწიოს ერთჯერადი ფულადი დახმარება.

აზრი გამოთქვას: ნ. ჯანდიერმა, პ. გორგობიანმა. ნ. ცაძიკიძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ ოთარ ესიტაშვილს ერთჯერადი ჯილდოს სახით გადაეცეს 500 ლარი.

დაადგინეს: დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (ალ. შათირიშვილი) წახალისების მიზნით ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ბუშეტის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ოთარ ესიტაშვილი დაჯილდოვდეს 500 ლარით.

ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე:



ნ. ჯანდიერი